



ოთხშაბათი, 4 სექტემბერი 1918 წ.

შრომა

№ 20

გაზეთის ფასი 40 კპ.

დღეს ამიერ-კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოს დეპეშები არ მიუღია.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კპ.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტით სტრიქონი 1 მან., მეორეზე 80 კპ. სამ-
გლოვარო განცხადება 15 მან.
ხელმოწერელი წერილები არ დაბეჭდვება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ
ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *თფლისი, კონტორა
გაზ. „შრომა“, Чавчаваძევისა ულ. Софийская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს
რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.
რედაქციის მისამართი: *თფლისი, რედაქცია გაზ. „შრომა“ Чавчаваძევისა ულ. Софийская
школа.*

მიიღება ხალის მოწარა ურავალ-დღიურ გაზეთი

„შრომა“-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანათი.

მისამართი: ტფლისი, კავთაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თბილისის ორგა-
ნიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და თანამგრძობთ
ძვირფასი ამხანაგის

იოსებ ფრანცის ძე ტიროვეის

უღროთ გარდაცვალებას

დედა ნატალია იოსების ასული და მამა ივანე ფრანცის ძე
ტიროვეები, გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ
და მეგობრებს დაუფიქარი

იოსებ ფრანცის ძე ტიროვეის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა და გაშოსვენება მოხდება ოთხშაბათს, დღის 12 სა-
ათზე საკუთარ სახლიდან, ბოტანიკური ქუჩა 9.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით გაიხსნა პირველი ქარ-
თული ბუნხალტერის კურსები ორივე სექსთათვის, წლოვანების გა-
ნურჩევლათ

ალ. ზ. საათაშვილისა

ორმაგი ბუნხალტერია და სხვა საგნები სრული პროგრამით. სწავლა და-
იწყება 5 სექტემბერს. პირობის გავება შეიძლება დღის 10-დან 12 სა-
ათამდე, საღამოთი 5-დან 6 საათამდე. მისამართი თფლისი, დუშეთის
ქუჩა, სახლი № 9 (1-ლი სამილიცია უბანი). (2-1).

ექიმი ი. კ. ავაკელია

ფინანსური ავადმყოფობა.
განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-
შეკრდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა,
ფილტვების აპენისა, გულისა და ჯირ-
კვლებისა.

ამონობა (დიანოზი) და წამლობა ყო-
ველ გვარი კლექისა, სისხლნაკლებო-
ბისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა
კვირისა საღამოს 4 1/2—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86

მ. თბილისი, 4 სექტემბერი.

უკანასკნელი ცნობებით მოსკოვში
მოუკლავთ კომისარი ბოლშევიკი
ურციკი და მძიმე დაუკრიათ სა-
ხალხო კომისარია საბჭოს თავმჯდო-
მარე ლენინი, ულიანოვი. ჯერ-ჯე-

რობით არ არის გამორკვეული ვისი
ხელმძღვანელობით და შთაგანებით
მოხდა ეს ტერორისტული აქტი, მა-
გრამ ბოლშევიკები ახლავე სცდილო-
ბენ ეს აქტი თავის პოლიტიკური
მოწინააღმდეგეთ მოახვიონ თავს.
მომავალი, ალბათ, ყველაფერს გა-
მორკვევს და მაშინ შესაძლებელი
იქნება ამ ფაქტის ყოველ მხრივ და-
ფასება და პირუთენელი მსჯავრის
გამოტანა.

ახლა კი შეგვიძლია მხოლოდ აღ-
ვნიშნოთ, რომ ტერორისტული აქ-
ტი ამ შემთხვევაში ჩვენ მიგვაჩნია
უდიდეს შეცდომათ, მიუხედავად იმ
საშინელ უბედურებათა, რომლებიც
ბოლშევიკების მეოხებით თავს და-
ტყდა რუსეთს, ჩვენ ახლაც და ყო-

ველთვის იმ აზრს ვიყავით, რომ
პოლიტიკურ პარტიას და მიმართუ-
ლებას ერთი საშუალება აქვს ბოლ-
შევიკებთან საბრძოლველათ: ეს არის
ბრძოლა იდეური, ბრძოლა დემო-
კრატიის ფართო მასების ორგანიზა-
ციის საშუალებით. კერძოდ, ლენი-
ნის წინააღმდეგ ტერორისტული აქ-
ტი ჩვენ მიგვაჩნია ყოველად შეუწ-
ყარებელ ნაბიჯათ. ჩვენ უარვყოფთ
ყოველგვარ საზიზღარ ქორებს და
ცილისწამებას, რომელსაც ბურჟუა-
ზიული პრესა ასე უხვად ავრცელებ-
და ლენინის სახელის გარშემო. ჩე-
ნთვის ლენინის სახელი ყოველთვის
იყო სინონიმი დიდი რევოლუციო-
ნერის, ის იყო ფანტიკოსი, მოუ-
სვენარი, დიდი ტემპერამენტის და
ერუდიციის მქონე...

ლენინის მოკვლის განზრახვის
შემდეგ ჩვენ გვეხატება საშინელი
პერსპექტივა: როგორც სხანს რუსე-
თის ინტელიგენციის ბრწყინვალე
ისტორიაში იწყება შავი სტრიქონე-
ბი, შურის ძიება და ტერორი. სისხლში
დასამარებენ თავისუფალ რუსეთს.
რუსეთის მშრომელი ხალხის ხელმძღ-
ვანელი, მისი ყვავილი—ინტელიგენ-
ცია იმეორებს საფრანგეთის რევოლი-
უციონერების შეცდომებს. ურთიერთ
უღელტაში ხედავს ის პოლიტიკურ
სიბრძნეს და დამკვირვებელი სამშო-
ბლოს დაცვას. თუ კი გრძნობამ
დასძლია გონებას, შესაძლოა ლენი-
ნის აქტს მოყვეს სხვა ტერორისტუ-
ლი აქტები და რუსეთის ინტელი-
გენციის საუკეთესო წარმომადგენე-
ლთა ცხედარზე მთელს რუსეთს გა-
დაეფინოს სამუდამოთ რეაქციისა და
პოლიტიკური ვანდალიზმის შავი
სუღარა!..
ნუ იქნება ეს!

პ რ მ ს ა.

გაზეთი „სახალხო საქმე“ ხებზე ლენი-
ნის დაქრას და სხვათა შორის სწერს:
ჩვენ გვეჩინა, ლენინის დაქრა,
გინდ სიკვდილი რუსეთისათვის ისევე
საბედისწეროა, როგორც საბედისწერო
განდა მისი გამარჯვება. რუსეთი ჯერ
კიდევ ისე არ დაწინაურებულა, არ ჩამ-
დგარა ისეთ კალაპოტში, რომ ლენინის
მომხრე მუშებს არ შეეძლოთ აქტუა-
ლურ ენერჯის გამოჩენა და მტრი-
სათვის სამაგიეროს გადახდა. ლენინის
დაქრას რუსის, განსაკუთრებით მოსკო-
ვის მუშები მიიღებენ კლასობრივ ბრძო-
ლის გამწვავების აუცილებელ პირო-
ბათ და ვფიქრობთ გამოჩნდე-
ბიან ისეთი ძილებიც, რომე-
ლინე პარისის 1871 წლის,
ამბებს გაიმეორებენ შესწორებით: მა-
შინ დემოკრატიის ძალებს ხოცავდენ
შეუბრალებლათ, ეხლა კი შეიძლება
კიდევ უფრო მეტის სიბრაზით მოაწ-

ყონ ბურჟუაზიისთვის ბარბოლოს და-
მე. დღემდე უკვე გვაცნობებს, რომ
მოსკოვის პროლეტარიატში სწორედ
ასე გაიგო ლენინის დაქრა და ის
მართლა მოსურნეა გადადგას ამ
მხრივ ისეთი ნაბიჯი, რომ მთელი ქვე-
ყნაურება შეძრწუნდეს. არავინ იცის
რამდენად გამართლებია ეს მუქარა
მაგრამ ერთი რამ კი ვიცით ტერორის
სახელმწიფოს დაწინაურება არ შეუძ-
ლიან და ამ პოლიტიკით სამოქალაქო
ომის გამწვავება შეიძლება უმთავრე-
სათ.

იმევე საკითხს ხებზე გაზეთი „ერთობა“.
ამას უნდა კეწმართებოდ მიუღია ის ლე-
ბულება, თითქოს ტერორისტული აქ-
ტი ესწერებმა მოაწყვეს და სხვათა შო-
რის სწერს:

„შველი რევიმის დროს სოციალისტ-რე-
ვოლუციონერები ბრძოლის ასეთ საშუა-
ლებას იწყებდენ. მათ მრავალი ასეთი
აქტები შევსრულებდენ. მათ ტერორს-
მეტად გრძელი ისტორია ჰქონდა და ბედ-
კრულ დროში ფაქტად სარგებლობდენ
მაგრამ პოლიტ. წყობილებას ფორმაში
მათ ცვლილება არ მოუხდენიათ. პირ-
იქით, ტერორისტული აქტები უფრო
შეტად ამაგრვდა „მონარქიზმს“.

ასე რომ „ერთობის“ ისტორიკოსის აბ-
რით ტერორი აძლიერებდა მთავრობას
თუმცა ყველამ იცის, რომ მთავრობა სას-
ტიკად ემართდა ტერორისტებს!...
ცოტა ხევით გაზეთი ვიღაცას ასწავ-
ლის: „ამა თუ იმ პიროვნების სიკვდი-
ლით არ შეიძლება სახელმწიფოებრივი
წყობილების გადატრიალება“. კარგს
იზამდა გაზეთი „ერთობა“ რომ დაესაბუ-
ლებია ვინ იყო ტერორი და საზოგადოებ-
რივ გადატრიალებზე ასეთი აზრის!?

საქართველოს აკონომი- კის პარსპექტივაში.

საქართველოში მომქმედი ყველა მთა-
ვარი პოლიტიკური პარტიები აღიარებს,
რომ გერმანიის შემოყვანა ჩვენში იყო
იძულებითი, ფიზიკურად განადგურების
შიშმა იმპალითის ურდობისაგან აიძუ-
ლა ჩვენი დემოკრატიის ხელმძღვანელი
წრეები შეემართათ კულტურულ გერმა-
ნიისთვის. გერმანიამ ალუთქვა დახმარე-
ბა დამოუკიდებელ საქართველოს, მა-
გრამ სამაგიეროთ მოითხოვა ისეთი კომ-
პენსაცია, რომელიც მხოლოდ ფორმა-
ლურათ სტოვებს საქართველოს დამოუ-
კიდებლობას. საერთოთ ცნობილია, რომ
თანამედროვე იმპერიული სტრუქტურა
პატარა ერებს, სახელმწიფოების სუვე-
რენიტეტი არაა უზრუნველყოფილი
დამყარებელი მექანიზმებით. მათი
ბედ-იბლადი დამოკიდებულება ბუმბერაზ
სახელმწიფოების პოლიტიკისაგან.

საქართველოს მდგომარეობა ამ მხრივ
ძალიან უნუგეშოა. ეს გამოწვეულია იმით,
რომ საქართველოს დამოუკიდებლობა
იშვა მეტათ რთულ დროში, როდესაც
დასმული იყო საკითხი მისი სიკვდილ-
სიცოცხლისა.
ამ პირობებში გადასარჩლა საქარ-
ველო გერმანიის კლანქებში. გერმანიამ
რა თქმა უნდა, ყოველმხრივად გამოიყე-
ნა საქართველოს უშუქო მდგომარეობა

ის ხელშეკრულება, რომელიც დადებულ
იქნა გერმანიისთან საქართველოს ეკო-
ნომიკისათვის პარდაპირ მომავლინებე-
ლია.

მთავრობას დღესაც არ გამოუქვეყნე-
ბია ხელშეკრულება. დემოკრატიულ რეს-
პუბლიკაში ეს მოვლენა არაა დასაშვები.
დემოკრატიამ უნდა იცოდეს სახეებით
და ყოველმხრივთ ესპირობებთ, რომელ-
შიაც მას მოუხდება ცხოვრება, სამშე-
ნებლო მუშაობის წარმოება.

როგორც არ უნდა იყოს გერმანიის-
თან დადებული პირობები, მთავრობა
ვალდებულია აცნობოს ის ხალხს, რად-
განაც ბოლოს და ბოლოს თვით მშრო-
მელი ხალხი აგებს პასუხს. მაგრამ, შიუ-
ხედავთ იმისა, რომ ჩვენ ხელთ არა
გვაქვს მთავრობის განცხადება დადებულ
ხელშეკრულებას შესახებ, ჩვენ არაფი-
ციურათ თანდათან ვტყობილობთ თუ
რა გამოუვალ რგოლში მოექცა საქარ-
თველოს ეკონომიკა გერმანიის წყალო-
ბით.

თუ გადავხედვთ იმ ცნობებს, რომ-
ლებშიც ჩვენამდე მოაღწიეს, დავრწმუნ-
დებით, რომ საქართველო საკუთარ ეკო-
ნომიკას ვერ შექმნის კიდევ ძალიან დი-
დი ხნის განმავლობაში.

ხელშეკრულების ძალით გერმანიის
გთმობა ფოთის საგაქრო ნავთსადგური
60 წლით.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სა-
ქართველოს რესპუბლიკას ბათუმის და-
ქარგვის შემდეგ არა აქვს სხვა მნიშვნე-
ლოვანი პორტი, ჩვენ ნათლათ დავინა-
ხავთ, რომ ფოთის ნავთსადგურის გადა-
ცემა გერმანელებსათვის საშინლათ და-
აბრკოლებს საკუთარი ეკონ. ცხოვრების
განვითარებას. ფოთის ნავთსადგური ერ-
თად ერთი მთავარი გზაა ჩვენი ევროპი-
საკენ მიმავალი, ჩვენ ფოთიდან უნდა
მოგვეწყო დამოკიდებულება ევროპასთან
გაგვეჩვენებია ალბ-მეცემობა, ეხლა კი
ეს შეუძლებელია, რადგან ფოთის ნავთ-
სადგური გერმანიის ხელშია და მთელი
ევროპაც, რა თქმა უნდა, მათ ხელში
იქნება.

საიმპორტო და საექსპორტო თპერა-
ციები მათ ხელში იქნება და მთელი
საგაქრო მოგება გერმანელი კაპიტალის-
ტების ჯიბეში ჩაჩხრიალდება.

საქართველო ამანართი დიდი ხნით
გადაიქცევა გერმანიის კოლონიით და სა-
კუთარ ალბ-მეცემობას ვერ განავითარ-
ებებს. ვერ განვითარებთ იმიტომ რომ
საქართველოს ეკონომიკა ვერ გაუშვებს
კონკურენციის გერმანიის განვითარებულ
მრეწველობას. მაგრამ გაცილებით უფრო
ცუდია ჩვენი მდგომარეობა შავი ქვის
მრეწველობაში. ხელშეკრულების ძალით
საქართველოს მთავრობა ვერ შეგება
გერმანულ ფირმებს. ჩვენმა პარლამენტმა
რომ მიიღოს კანონი შავი ქვის წარმოების
ნაციონალიზაციის შესახებ, ის ამ შემ-
თხვევაშიაც ხელს ვერ ასლებს გერმანულ
ფირმებს, ეს, ცხადია, ძალიან დააბრკო-
ლებს ნაციონალიზაციის განხორციელე-
ბის საქმეს და უშუქო მდგომარეობაში
ჩააგდებს ჩვენს მრეწველებს. შავი ქვის
მრეწველობაში გერმანელებს მონოპოლიუ-
რი უფლებები აქვთ მინიჭებული. მაგა-
ლითად ფუთი შავი ქვის გადასახიდი
ფასი ქიათურიდან ფოთამდე დაწესებუ-

